# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 30 ივნისი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **საქართველოს მთავრობა** (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

და მეორე მხრივ, შპს სს **„სუფსა ენერჯი“** (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 405051624, წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი ჩიტაშვილის მიერ.

**ვინაიდან,** საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) ჰიდროელექტროსადგურების: „სურები ჰესი“, „ვანი ჰესი“, „ბუკისციხე ჰესი“ „სუფსა მცირე ჰესი“ და „ბარამიძე ჰესი“ - მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მემორანდუმისა და მხარეებს შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე;

**ვინაიდან,** მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის შესახებ ანგარიში;

**ვინაიდან,** მემორანდუმის შესაბამისად, მხარეებმა ერთობლივად განიხილეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი და მათი მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის შესახებ ანგარიშის საფუძველზე, მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

**ვინაიდან,** მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებისა და ამ ხელშეკრულების დადების მიზნით;

**აქედან გამომდინარე,** მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „3.4 კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) თვის ვადაში მთავრობა და კომპანია განიხილავენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასადები ხელშეკრულებ(ებ)ის პირობებსა და შეთანხმების შემთხვევაში, ხელს მოაწერენ შესაბამის ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს."
2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები, ისევე როგორც მათი ნუმერაცია, დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილსა და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

______________________

კახა კალაძე

სს „სუფსა ენერჯი"

______________________

გიორგი ჩიტაშვილი

3716

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010104982910316

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა, ტელ: 2 40-31-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-31-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3995

16 / ივნისი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 14 ივნისის №04/2317 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს" (2014 წლის 20 სექტემბრის დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სვანა ენერჯი") შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1216 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და სს „სუფსა ენერჯის“ შორის დასადები შეთანხმება, საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი